

ინსტიტუტი ტექინფორმი

დანართი

№	გრანტის გამცემი	გრანტის დასახელება	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტის ხელმძღვანელი	მოცულობა (თანხა)	სტატუსი დასრულებული/ მიმდინარე	გრანტის კოდი
1	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), იტალია	საქართველოში AGRIS-ს ეროვნული ჰაბის კონსოლიდაცია სოფლის მეურნეობაში ღია მეცნიერების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით და მკვლევარებისა და პრაქტიკოსების მომზადება სასოფლო-სამეურნეო კვლევის ახალ ტენდენციებში	2021 დეკემბერი - 2022 წლის ნოემბერი	ნ. მახვილაძე, მ. რაზმაძე	60,000 ლარი	დასრულებული	# 11-35
2	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), იტალია	სურსათის და სოფლის მეურნეობის სფეროებში სამეცნიერო პუბლიკაციების შესახებ ინფორმირებულობის და სამეცნიერო კვლევების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თაობაზე საქართველოში AGRIS-ის და AGROVOC-ის მეშვეობით.	2020 დეკემბერი-2021 ნოემბერი	ნ. მახვილაძე, მ. რაზმაძე	40,000 ლარი	დასრულებული	# 33-1
3	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO),	აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ASIRA-ს (წვდომა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო	2019 დეკემბერი-2020 ნოემბერი	ნ. მახვილაძე, მ. რაზმაძე	70,000 ლარი	დასრულებული	#11-22

	იტალია	ინფორმაციულ რესურსებზე) მეშვეობით, სოფლის მეურნეობის სექტორში სამეცნიერო პუბლიკაციების შესახებ ცოდნის დონის ამაღლებასა და სამეცნიერო კვლევებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თაობაზე.				
--	--------	--	--	--	--	--

1. აბსტრაქტები:

1. კონკრეტული შედეგი: 10-ზე მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო ტრენინგი ღია მეცნიერებაზე სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და მკვლევარებისათვის. 2 მრგვალი მაგიდა და AGRIS მონაცემთა ბაზის გაზრდილი მოხმარება. AGRIS ყოველწლიური კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფში ჩართულობა და ეროვნული ჰაბის მნიშვნელობის და გამოცდილების გაზიარება მსოფლიოს მონაცემთა მიმწოდებელთა ქსელის წარმომადგენლებს შორის. დღეს ეს ქსელი წარმოადგენს 150-ზე მეტ ქვეყანას და 400-ზე მეტ მონაცემთა მიმწოდებელს.

რეკომენდაციები: საქართველოში AGRIS-ს ეროვნული ჰაბის კონსოლიდაცია სოფლის მეურნეობაში ღია მეცნიერების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით და მკვლევარებისა და პრაქტიკოსების მომზადება სასოფლო-სამეურნეო კვლევის ახალ ტენდენციებში.

2. კონკრეტული შედეგი: ინფორმაციისა და მონაცემთა გაცვლისთვის სემანტიკური ინსტრუმენტების გამოყენების უპირატესობების შესახებ ცნობიერების ამაღლება: AGROVOC-ის ქართულენოვანი ვერსიის გამდიდრება ახალი ტერმინებით; AGROVOC-ის ცნებების გაფართოება ახალი ქართული ცნებებით; ამაღლდა ცნობიერება AGRIS-ის შესაძლებლობების შესახებ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში. სურსათისა და სოფლის მეურნეობის სფეროში ქართული სამეცნიერო კვლევების ხილვადობისა და ხელმისაწვდომობა გაზრდა; AGRIS-ში ინდექსირების უპირატესობების დემონსტრირება; სურსათისა და სოფლის მეურნეობის სფეროში ქართული სამეცნიერო კვლევების ხილვადობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა საერთაშორისო დონეზე; მონაცემთა ანგარიშგების AGRIS-ის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის შესახებ შესაბამისი გაიდლაინებისა და რეკომენდაციების შემუშავება და გავრცელება; AGRIS-ში წარდგენილი მონაცემების რაოდენობის გაზრდა.

რეკომენდაციები: საქართველოში სურსათის და სოფლის მეურნეობის სფეროს სამეცნიერო პუბლიკაციების შესახებ ინფორმირებულობის და სამეცნიერო კვლევების ხელმისაწვდომობის გაზრდა AGRIS-ის და AGROVOC-ის მეშვეობით.

3. კონკრეტული შედეგი: გაიმართა ASIRA ორდღიანი ღონისძიება ონლაინ რეჟიმში AGRIS და AGORA-ს შესახებ (წვდომა გლობალურ ონლაინ კვლევებზე სოფლის მეურნეობაში) პროგრამებზე, რათა გაზრდილიყო ცოდნის გაზიარება და გაუმჯობესებულიყო ხილვადობა და ხელმისაწვდომობა სოფლის მეურნეობის მეცნიერებებზე და ტექნიკური შინაარსის მასალებზე ალბანეთში, ბოსნია და ჰერცეგოვინაში, კოსოვოში, მონტენეგროში, სერბეთში, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიაში, უკრაინაში, საქართველოსა და სომხეთში. ღონისძიებაში მონაწილეობდა ინსტიტუტის სრული შემადგენლობა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენლებთან ერთად. მომზადდა სერთიფიკატები და გაიმართა დაჯილდოების ცერემონია.

რეკომენდაციები: აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ASIRA-ს (წვდომა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ინფორმაციულ რესურსებზე) მეშვეობით, სოფლის მეურნეობის სექტორში სამეცნიერო პუბლიკაციების შესახებ ცოდნის დონის ამაღლება და სამეცნიერო კვლევებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.